საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. სამშაბათი 18 თებერვალი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 18 მანეთი ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადებების ფასი, პირველ გვერდზე, ასო შრიფტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საქმიანი განცხადება უნდა მოეწოდოს იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ უბრუნებს და ამის შესახებ არც წერილობით პასუხს აძლევს.

ხელის მოწერის ფასი ... ტფილისი, ფოსტის ქუჩა № 199 კაპ. „ერთობის“ რედაქცია ... რედაქცია ... სამსახურში შეიძლება ... კონტორა 10—13 საათამდე ... № 24

ტელეფონი 16—62.

№ 38 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 38

ღრმად დამწუხრებულნი; პროკოფი გეგუჩაძე, ვასილ, დარიკო და მარგალიტა ჯლარკვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 თებერვალს გარდაიცვალა პირველის ძვირფასი დაი, მეორენის ნათლის დედა და მესამესი საყვარელი ნათლია

## თამარა სტეფანეს ასული გეგუჩაძისა

რომლის გამოსვენება დანიშნულია 19 თებერვალს სქალაქო (არამიანცის) ლაზარეთიდან შუადღის 12 ს. და დასაფლავება მოხდება ნავთლუღის სასაფლაოზე. (2—1)

ხაშურის კოოპერატივის გამგეობა ულრმესი მწუხარებით აუწყებს თავის წევრთ, რომ მიმდინარე წლის 13 თებერვალს ხანმოკლე ავათმყოფობას შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი გამგეობის წევრი

## ლაკოზ ალექსანდრეს ძე გვარამაძე

(2—1)

უნუგეშოთ მყოფი და მწუხარებით გულდამწვარი ვარვარა (ვალია) ლევანის ასული და პატარა ვიტუშა მასხულიები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხუთშაბათს, 20 თებერვალს, სოფელ კვათანაში (სადგურ აბაშასთან) წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი ქმრის და მეორის ძვირფასი მამის

## ნიკიფორე ივანეს ძე მასხულიას

სულის მოსახსენებლად. (2—1)

20 თებერვალს ქ. ოზურგეთში წმინდა მარინეს ტაძარში დანიშნულია სომხებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულის

## სანდრო პანდიტორის ძის შავიშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქული დედა დარიკო კონსტანტინეს ასული შავიშვილისა, ძმები: მიხეილ, კოლია, გიორგი, სიმონი და ივანე, და მარბალე და ბიძა იასონ შავიშვილი, (1—1)

მამა ლევან, ძმა სამსონი, ბიცოლა მანუკი, რძალი ნინუცა და ბიძაშვილი ბუხუტი გუნიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

## პორფილი ლევანის ძე გუნიას

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდა სასტუმრო „გრანდ ოტელი“-დან ორშაბათს, ნაშუადღევს 5 საათზე, წაასვენეს ახალ-სენაკში და იქიდან სამშაბათს, დილის 12—1 საათზე ს. ეკში. დაკრძალვის დღე ს. ეკში ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

შვილები: ელენე, ალექსანდრე და პეტრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ლამით 13 თებერვალს, რკ. გზის საავათმყოფოში გარდაიცვალა ერთად ერთ წუთში მამა

## იონა პავლეს ძე თევზაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში. (1—1)

სიდედრი ნინო სტურუახი, სტეფანე სტურუა მეუღლით და ცოლის ძმები: ისიდორე, ანტონი და დავით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 13 თებერვალს გარდაიცვალა ქ. თფილისში, რკ. გზის საავათმყოფოში მათი საყვარელი სიძე

## იონა პავლეს ძე თევზაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქეთევანი აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფას მეუღლის

## ლეონტი გლახუას ძე ძიმისტარაშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. ქუთაისში სამშაბათს 18 თებერვალს ნაშუადღევს 3 საათზე.

მწუხარების ბურუსში გახვეული შვილები: ნიკოლოზი, სონია, დოტია და რძალი ლენა კილურაძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ დედის

## ელისაბედ დავითის ასული კილურაძის

გარდაცვალებას. წირვა დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე, სამშაბათს 18 თებერვალს დღის 3 საათზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე მაქსიმეს ასული ჩიტაიასი, ვაჟი გიორგი, კა. ძმები: ნიკიტა და გიორგი და დაი ანასტასია ჩიტაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 18-ამს თებერვალს, დილის 11 საათზე გადახდილი იქნება ქ. ფოთში ნახუტურის ეკლესიაზე ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## პავლე სპირიდონის ძე ჩიტაიას

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ქ. ქუთაისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## სონა ვაშაძისა

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ დეიდაშვილი მისი ექიმი ივანე ჯომართიძე (1—1)

ვანო, ელიზბო და კატო აბდუშელიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში მათი დაუვიწყარი დის

## სონა ვაშაძისას

(1—1)

ღრმად დამწუხრებული სოფიო (სონა) გრიგოლის ასული, ალექსანდრე ანდრიას ძე, ივანე სვიმონის ძე მესხიშვილები და გრიგოლი სოსიას ძე, არტემ ფიროზას ძე საღარაჯოვები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## გრიგოლ (გიორგი) ანდრიას ძე მესხიევი

პირველის ქმარი, მეორისი ძმა, მესამესი ბიძაშვილი და მეოთხესი სიძე. ცხედარს გამოასვენებენ დილის 9 საათზე, 18 თებერვალს თავის სადგომიდან—ორბელიანის ქუჩა № 14, კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (1—1)

რეზო ჯაბადარი და ირაკლი ბილანიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას მეგობრის და სახალხო გვარდიელის

## კოტე ბილანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 16 თებერვალს, ს. პატარძეულში (2—2)

ბილანიშვილების გვარეულობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ სომხებთან ომში დაჭრილი, თფილისის საავათმყოფოში გარდაიცვალა 12 თებერვალს მათთვის ძვირფასი სახალხო გვარდიელი

## კოტე გიორგის-ძე ბილანიშვილი

დაკრძალვა მოხდება 16 თებ. სოფ. პატარძეულში. (2—2)

ეშმაკი და თავუნა

„ახირებული“

გამოვიდა რვეული II.

საწყობი „ერთობის“ კანტორაში.

## მთლიანი ფრონტისთვის

ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას რამდენიმე მხრით ემუქრება მტერი.

მართალია, საქართველოს არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს რომელიმე მეზობლის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გვესხმიან თავს. მიზეზი აშკარაა: ჩვენი მეზობლები ვერ ურიგდებიან საქართველოს დემოკრატიულ წყობილებას. მაშასადამე ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ დღევანდელ პირობებში არის ბრძოლა დემოკრატიის და რევოლიუციის მონაპოვართა წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატიამ განურჩევლად ეროვნებისა კარგად შეიგნო გარედან მომდგარი საფრთხე და საშინელი მტრის მოსაგერებლათ დაირაზმა.

სამწუხაროდ ასე არ იქცევიან ის ზოგიერთი ჯგუფები, რომელნიც თავის თავს ქვეყნის მხსნელებად სთვლიან. ჩვენ არას ვიტყვით დაშნაკელებზე, რადგან მათი პოლიტიკური ფიზიონომია ყველასთვის ცხადი არის დაფარული, განსაკუთრებით შულავერის და სოხუმის ავანტიურის შემდეგ.

მაგრამ გაუგებარია ის, რომ დემოკრატიულ ფრონტის დაშლას დღესაც ენერგიულად უწყობს ხელს ის ჯგუფი, რომელიც მყვირალა სოციალისტურ ფრაზეოლოგიას ეფარება და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით ცდილობს შუღლი და მტრობა გაავრცელოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთა შორის.

ჩვენ გვეგონა, რომ მოხალისეთა რეაქციონულ ჯარის შემოტევა შავი ზღვის მხრივ და ბეგების კონტრ-რევოლიუციური აჯანყება ახალციხის მაზრაში გამოაფხიზლებდა ამ ჯგუფს, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ დღესაც ძველ კილოზე განაგრძობს თავის სახელოვან მოღვაწეობას.

17 თებერვლის ნომერში გაზეთი აღნიშნავს სადემოკრატიულ ფრონტის გაერთიანების საკითხებს და კითხვას იძლევა: როგორ შეიძლება გაერთიანების მიღწევა და ბ-ნნი ზურაბოვ სმირნოვები თითონ იძლევიან პასუხს: უნდა ვცადოთ ყველა სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიების შეთანხმება, როგორც საქართველოში, ისე მთელს ამიერ-კავკასიაში.

ასეთი პასუხით გახარებული მკითხველი უნებლიეთ იკითხავს: ნუ თუ მართლა უკუაგდო ზურაბოვ პოპოვ-სმირნოვის ჯგუფმა თავისი ნაციონალისტური ღვარძლით აღსავსე პოლიტიკა და დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიების შეთანხმებაზე ქადაგობს. სამწუხაროთ მკითხველი თითონ დარწმუნდება, რომ მისი სიხარული ნაადრევია, როცა გაეცნობა იმ მეთოდს, რომლითაც რუსეთის სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ ამოფარებული ჯგუფი გვირჩევს შეთანხმების განხორციელებას: ის ითხოვს, რომ ჩვენმა მთავრობამ შესცვალოს თავისი პოლიტიკის ხაზი.

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ერთნაირათ ზრუნავს საქართველოში მცხოვრებ ყველა ერების ინტერესებზე, რაც სხვა ერების დემოკრატიამ არა ერთხელ დაამოწმა: ჯავახეთის მალაკნები, სოფ. ოლქის რუსი მცხოვრები და თითონ ის სომხები, რომელნიც ჩათრეული არ არიან დაშნაკურ ავანტიურაში ეტყვიან ზურაბოვ-სმირნოვებს, რომ დემოკრატია იწონებს ჩვენი მთავრობის პოლიტიკურ ხაზს. არ მოსწონს ეს ხაზი მხოლოდ იმ ჩინოვნიკობას, რომლის იდეოლოგათაც „სოციალდემოკრატი“ გამოდის და ცდილობს ძირი გამოუთხაროს საქართველოს რესპუბლიკას.

საქართველოს დემოკრატიის წარმომადგენლობითი ორგანო—პარლამენტი, რომელიც დღეს იკრიბება, შესაფერ ნაბიჯს გადასდგამს დემოკრატიის გასაერთიანებლად და რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და ჩვენ ვფიქრობთ, რომ არშაკ ზურაბოვის მზაკვრული გამოლაშქრება ვერ შესძლებს მთლიან დემოკრატიულ ფრონტის მოშლას.

## პრესა

ჩვენი მემარჯვენენი მეტად გათავხედდნენ. მათ არა თუ აითვალწინეს რევოლიუცია და მისი ნაყოფები წყალობანი, არამედ შავრაზმული კილოთი ამკობენ კიდეც ამ რევოლიუციას, რომლითაც დღეს სული უდგიათ.

„ძალიან დიდ პოლიტიკურ შეცდომას ჩადიან ის ქართველი საზოგადო მოღვაწენი მემარცხენე ბანაკიდან, რომელნიც დღე ნებით თხოულობენ საქართველოსა და მისი მთავრობისაგან, შეურიგებელი ბრძოლა აწარმოვოს დასაცველად იმ ფაზრო ლოზუნგებისა და რეალურათ განუხორციელებელ ცნებების საფუძველისა, რომელიც დღევანდელ ჩვენ მემკვიდრეობათ ეგდუნურ რუსეთის რევოლიუციისაგან“.

ნათქვამია: ავსა კაცსა, ავი საქმე ურჩევნია სულსა, გულსა“. და „გრუზიას“ რევოლიუციით განაწამებს მის ლანძღვაში სული ამოსდიოდეს, რა გასაკვირველია?

* * *

ინგლისის შემოსვლით და ინგლისის პოლიტიკით ჩვენში მეტად დაინტერესებულია ყველა გაზეთები. განსაკუთრებით ცხარობენ ჩვენი ნაციონალისტები. მაგრამ საკითხი ყველას თავისებურად ესმის და ერთ გარკვეულ აზრს ვერ დადგომიან: „გრუზია“ ჩვენ გვისაყვედურებს ინგლისის წინააღმდეგ ხმის ამოღებას.

„სასაცილოა, როცა გესმის მოწოდება იბრძოლეთ ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ, იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც ვერ სძლია ყოვლის შემმუსვრელმა გერმანიის მილიტარიზმმა და რომლის წინაშე შიშით კანკალებს ვეებერთელა რუსეთის ბალშევიზმი“.

დაუჩოქეთ! ასეთია ამ მუდამ სხვის თვალში შემყურე გაზეთის ლოზუნგი. მან იშოვა ვის წინ წამოიჩუქლოს თავის და განა ასეთ შემთხვევას გაუშვებს ხელიდან? ნიკოლოზის რეჟიმის დანგრევის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა მიეცა თავის მონური ფსიხოლოგიის გამოჩენის და, რა გასაკვირველია, თუ რევოლიუციას თავის ფუშნო ტლინკებს ესვრის, ხოლო ძლიერთა წინაშე პირქვე ემხობა.

* * *

„სამაგიეროთ „სალი კლდე“ გამაგრებულა თავის გერმანოფილურ პოზიციაზე. ინგლისი ყოფილა ქვეყნათ მთელი ბოროტების მატარებელი, გერმანია კი გამანთავისუფლებელი.

აი ისმინეთ:

„მხოლოდ ჩვენ გულუბრყვილო სოციალისტებს ეგონათ, რომ ინგლისი მართლა პატარა ერთა გასანთავისუფლებლათ იბრძვის და ჩვენში მშვიდობიანობისა და წესის აღსადგენათაა მოსული, თორემ ყველა ქვეყანა მყოფელი ხედავდა, თუ როგორ სწორეთ პატარა ერების თავისუფლების შეზღუდვით დაიწყო მან ეს ომი და ჩაკლა ირლანდიის ბრძოლა თავისუფლებისათვის, როგორ დაიპყრო ეგვიპტე, ჩაითრია ომში იტალია, რუმინია, საბერძნეთი და ასე „დაამყარა წესიერება“... მაგრამ იმპერიალისტების ზნეი ერთნაირია, რადგან მათი ფსიხიკაც ერთნაირია: ისინი ღალატობენ, რადგან მათ გამარჯვებას საზღვარი არა აქვს ხოლმე; მეტადრე გამარჯვების ილიუზიებში თუ გახვევიან“.

შემდეგ მოჰყავს ჰეინეს ანეკდოტი ინგლისის შესახებ და თავისებური ოხუნჯობით სჭრის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების გადაჭრა. რა აწუხებს ამ გაზეთს და მის თანამშრომელს ბ. რ. გაბაშვილს, რომელსაც ეს წერილი ეკუთვნის?

მათი გულის ტკივილი—გერმანიის მისიის წასვლაა, რომელსაც მემამულეები ეჩურჩულებოდნენ და თავის სასარგებლოთ აუშვილებას უპირებდნენ. ამას, რასაკვირველია, ბ. ნი გაბაშვილი არ ამხელს, სამაგიეროდ იგი ქებას ასხამს გერმანიას, როგორც განმათავისუფლებელს.

„მაშინ ყველა მიხვდება, რომ პატარა ერთა განმათავისუფლებელი ინგლისი ჩვენში შემოდის პატარა ერთა დასაჩაგრავად, მაშინ, როდესაც „იმპერიალისტურმა და მილიტარისტულმა“ გერმანიამ მხოლოდ გაანთავისუფლა ეს პატარა ერები“.

მართალია, გერმანია მოვიდა მაშინ, როცა ოსმალეთის საფრთხე გვადგა კარს და გვიხსნა ამ საფრთხისაგან. ინგლისის შემოსვლისას კი ჩვენ ასეთი საფრთხე არ მოგველოდა. მაგრამ დანარჩენში ყოველი დიდი ევროპიული სახელმწიფო, რომელიც აქ ჩამოვიდა, იცავდა თავის ინტერესებს და ამის მიხედვით მოქმედებდა. გერმანიაც თავის ინტერესებს მისდევდა, ინგლისიც თავის ინტერესებს ახორციელებს. ამას უნდა გაგება, და ამ ინტერესების ნიადაგზე შეთანხმება ამ სახელმწიფოებთან და ამით შექმნა ისეთი ურთიერთობის, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობასაც უზრუნველ ჰყოფს და ჩვენს ეკონომიურ განვითარებას არ შეაფერხებს.

# დღეს

ფოთში ჩვენმა ჯარმა დააკავა მოხალისეთა გემი, რომლითაც სოხუმში მიჰქონდათ ნოვოროსიისკიდან სხვადასხვა სურსათი. გემზე მყოფ ჯარისკაცებს და აფიცრებს იარაღი აჰყარეს, სურსათს რეკვიზიცია უყვეს.

—

ბერნის სოციალისტურმა კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა იმსჯელოს რუსეთის შესახებ. კომისიაში შედიან — ფრ. ადლერი, კ. კაუცკი, ლონგე და მაკდონალდი.

სპარტაკელების საქმის გარჩევა დამთავრდა. დამნაშავეთ მიესაჯა 8 თვიდან ერთ წლამდე ციხეში დაპატიმრება.

მაგდებურგში 80 შეიარაღებულმა მუშამ ძალით გაანთავისუფლა ციხიდან სპარტაკელები.

გერმანიის სამხედრო მთავარი ბანაკი საბოლოოდ გადავიდა აღმოსავლეთისკენ. გენ. ჰინდენბურგი კოლბერგში იმყოფება და ზომებს ღებულობს აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად.

დროებითი ზავის დამატებითი პირობების თანახმად გერმანელებს არ აქვთ უფლება შეტევა აწარმოონ პოლონელების წინააღმდეგ.

---

ინგლისთან და საერთოდ შეთანხმების სახელმწიფოებთან ამ მხრივ შეიძლება, ჩვენ გვგონია, საერთო ნიადაგის გამოძებნა.

რაც შეეხება ბ. ნ. რ. გაბაშვილის ლამონტაციებს ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ ერთი: ინგლისი კოლონიებს ეპყრობა სხვადასხვანაირად იმის მიხედვით თუ სად ვინ ცხოვრობს და რა კულტურული ძალის პატრონია კოლონიის ხალხი.

და ამ მხრივ მისი მოპყრობა ჩვენდამი ერთიანად ჩვენს ძალასა და კულტურულ პოლიტიკურ შეგნების უნარზეა დამოკიდებული.

* * *

„ნაროდნოე ზნამია“ მეტად გამწვავებულა ჩვენი ამონაწერის გამო ტიმოფეევის წერილიდან.

„ერთობა“ და „ბარბა“ მოგვმართვენ ჩვენ და ერთხმათ სწერენ: აი შეხედეთ, თქვენი ამხანაგები ამბობენ, რომ ყოველი გულწრფელი რევოლიუციონერი უნდა დახმარებას უწევდეს საქართველოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას უნდა ერთიანად მხარი დაუჭირონ ყველა ესერებმა მთელი თავის ძალით! მაგრამ საიდან გამოგყავთ ასეთი დასკვნა?

„სად, ვინ და როდის სთქვა, რომ ესერების დემოკრატია ვალდებულია მხარი დაუჭიროს საქართველოს დამოუკიდებლობას და უაპელაციოთ „დახმარება აღმოუჩინოს მას“.

მაშ არ უთქვამს? თქვენ ამას უარჰყოფთ? აი ბატონო თქვენი გაზეთიდან ამოღებული ამონაწერი: გაგიმეორებთ „ნაროდნოე ზნამიის“ №17-ში, ფელეტონში, ტიმოფეევი სწერს:

„იმ ადგილებში, როგორც მაგ. ყირიმში, საქართველოში, ბოლოს შეიძლება უკრაინაშიაც, სადაც არსებობენ უკვე სახელმწიფოებრივი ერთეულები, მუშათა კლასის ხამე და მასთან ესერების პარტიის საქმეც ისაა, რომ მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ მათ იარაღითაც კი ბალშევიზმის შემოსევის წინააღმდეგ. ეს ნაწილობრივი სიმაგრენი დემოკრატიისა უნ და დაცული იქნენ“.

აქედან რა დასკვნა გამოდის? ის, რომ ამ „სახელმწიფოებრივი ერთეულების“ დანგრევას უნდა ემსახუროს, თუ მათ დაცვას?

სოფისტიკა იმის შესახებ, რომ აქ არ სწერია სიტყვა სიტყვით, უპეველ თ მათ დამოუკიდებლობას ემსახურეთო, არ გამოგადგებათ... ცხადია, რასაც იცავ, არ უნდა ანგრევდე ამას ამბობენ ჩვენისთანა „სოციალ-ბიუროკრატები“ და ამასვე ამბობენ რუსეთელი ესერები, თქვენ კი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვას არავინ გთხოვთ თქვენ გეუბნებიან მხოლოდ: ნუ ანგრევთ იმას, რაც დემოკრატიამ აგო თავის ხელით და რასაც იგი იცავს თავის გულმკერდით.

მაგრამ თქვენ ესეც კი არ შეგიძლიათ. თქვენ თავს ვერ იკავებთ ამ პატარა კუთხის ნგრევისაგან. აი ესაა თქვენი დანაშაული და ჩვენი ლანძღვით ფონს ვერ გახვალთ. ამაოა თქვენი ცდა.

## საარჩევნო მოგზაურობა

თებერვლის პირველ რიცხვებში მიწათმოქმედების მინისტრთან ერთად გავემგზავრეთ ქუთაისის გუბერნიაში. მინისტრს მიზნათ ჰქონდა გაეცნო ხალხისთვის პარლამენტის მიერ მიღებული მიწის კანონი. მე კი — ვდე—ამეხსნა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

ექვსი თუ შვიდი დღის განმავლობაში გავმართეთ ცხრამეტი მიტინგი. მიტინგებს ხალხი დიდის ხალისით ესწრებოდა. ზოგან 3—4 ათასი კაცი და ქალი დაესწრო. თითქმის ყველა მიტინგზე წითელი დროშა ფრიალებდა წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

მინისტრის გამოსვლას ყველგან მხურვალე ტაშით ხვდებოდნენ. თავმჯდომარეები მიტინგის სახელით ესალმებოდნენ მას, აღნიშნავდნენ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მინისტრი ხალხთან მიდის, მის პირ-ვარამზე ესაუბრება და სურვილს გამოსთქვამდნენ რომ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენ, ლებმა ხშირ-ხშირათ ინახულონ ხალხი, გაიგონ და მოისმინონ ხალხის გაჭირვება— დალხინება. მინისტრის მოხსენებას ყველგან დიდის ინტერესით ისმენდნენ და მრავალ შეკითხვებს აძლევდნენ.

ქუთაისის მაზრის ზოგი ადგილების მოვლის შემდეგ წავედით ზუგდიდში. ეს მაზრა უკმაყოფილოთა რიცხვში ითვლებოდა; აქ ბატონობდნენ „ბალშევიკები“ და მთელი მაზრა დიდი ხნის განმავლობაში მათი სათარეშო იყო. არა ერთხელ და ორ-ხელ ყოფილა აქ სამხედრო ექსპედიცია, არა ერთი და ორი ზარბაზანი გავარდნილა აქ, და ამიტომ მით უფრო ინტერეს წარმოადგენდა ჩვენთვის ამ მაზრის სულიერი განწყობილების გაცნობა.

მაზრის დავლამ, ადგილობრივ ზომუშავე პირებთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ ბალშევიკურ „უგარს“ სრულიად გაუვლია, მაზრა დაწყნარებულა, წარსულს სინანულით იხსენიებს, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და მეამბოხენიც მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგნენ. საყურადღებოა, რომ ყაჩაღობით განთქმულ მაზრაში ამ უკანასკნელ ხანებში არც ერთი თავდასხმა, არც ერთი ქურდობა არ მომხდარა.

ხალხი მეტად დაინტერესებულია დამფუძნებელი კრების არჩევნებით. რევოლიუციის პირველი დღეების შემდეგ არც ერთ არჩევნებს არ გამოუწვევია ასეთი ინტერესი. და მთელ ამ არჩევნებში ყველაზე უწინ მას აინტერესებს მიწის საკითხი. მთელი საარჩევნო კამპანია ყველა პარტიების მიერ ამ კითხვის გარშემო ტრიალებს.

ერობის არჩევნებში ამ მაზრაში გაიმარჯვეს სოციალისტ-რევოლიუციონერებმა. მარა ეს არ ყოფილა გამარჯვება ესერების პროგრამის. ეს მხოლოთ ესერების ფანტაზიას სჯეროდა და აქედან წარმოიშვა ზღაპარი, თითქოს მთელი მაზრა ესერებს მიყვებოდეს და მის მიწის სოციალიზაციას იზიარებდეს და ეს ზღაპარი ყველაზე უწინ სჯეროდა თვით ესერებს. მარა, ვფიქრობ, მომხდარმა მიტინგებმა ისინიც კი უნდა დაარწმუნონ, თუ რამდენათ უტოპიურია და როგორ არ ეკარება გლეხის გულს მათი მიწის სოციალიზაცია.

იქაც კი, სადაც ესერები თავს უზრუნველყოფილათ სთვლიდენ, კამათის შემდეგ აშკარა ხდებოდა, თუ რამდენათ მიუღებელია გლეხისთვის მათი შეხედულება მიწაზე. ამას გრძნობდენ მათი ორატორებიც და ამიტომაც იყო, რომ თავის პროგრამაზე კრინტს არ სძრავდენ და კმაყოფილდებოდენ მხოლოთ ჩვენი კრიტიკით. მათი პროგრამის ახსნა განმარტება ყოველგან ჩვენ გვიხდებოდა და როცა გლეხი გაიგებდა, რომ ისინი ითხოვენ მიწაზე საკუთრების მოსპობას—ერთხმად დაიძახებდა: აბა ჩემი აღარ ყოფილა მიწაო. ეს ამოძახილი ბევრგან ისე ძლიერი ყოფილა, რომ ესერები თურმე ამტკიცებდენ: მიწას ჩვენ გაძლევთ საკუთრებათ და არა კანონიო. ბევრგან ჩვენს პროპაგანდისტებს უხდებოდა სანაძლეოს დადება კრების წინაშე: ვინ ამბობს მართალს—კანონი თუ ესერი, სამწუხაროდ მიწის კანონი არ გავრცელებულა ხალხში, მას არ იცნობენ, არ წაუკითხავთ და ეს საშვალებას აძლევს უპასუხისმგებლო პირებს ავრცელონ ხალხში ათასგვარი ჭორი.

თავის პროგრამის დამალვა ამ საარჩევნო კამპანიაში საერთო სენად გადაიქცა. ნაციონალ დემოკრატების წარმომადგენელი ბ. ს3. კედიაც ასე იქცეოდა. ის ამბობდა: ჩვენ ვეთანხმებით ამ კანონს, ხმაც მივეცით და მივეცით იმიტომ, რომ იქ აღიარებულია კერძო საკუთრების პრინციპიო. მარა, რომ ისინი ნორმის გადიდებას და მემამულეთათვის ფულის მიცემას მოითხოვდენ ამაზე კი არაფერს ამბობდა და ეს შრომაც ჩვენ უნდა გვეკისრა.

ალბათ ნაციონალ დემოკრატების პროპაგანდას მიეწერება ის, რომ გლეხები მეტად დაშინებული იყო თავის საკუთრების ბედით. შიშის გაღვივებას ხელი შეუწყო მიწის ყიდვა-გაყიდვის საერთოდ აკრძალვამ. ეს შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ ბევრ ადგილას მინისტრს ეკითხებოდენ: ბატონო! სულ ექვსი ქცევა მიწა მაქვს, არ მინდა სხვისი, მარა ჩემს საკუთრებას ხომ არ წამართმევთო. მიწის კანონმა და მინისტრის მოხსენებამ ეს შიში საბოლოოდ გაფანტა და გლეხობაც დაწყნარდა, რომ ეს კანონი არა—ამ ნიადაგზე მოსალოდნელი იყო ბევრი უსიამოვნო გაუგებრობა და სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ამ გაუგებრობის გაფანტვაც კი დიდ ღვაწლად ჩაეთვლება ჩვენს მიწის კანონს.

საერთოდ ზუგდიდის ესერები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ კი რაიმე ხალხის გული მოიგონ. ზოგან კერძო საკუთრებას იცავენ, ზოგან მიწებს უფასოთ არიგებენ, ზოგან ყოველგვარი გადასახადისაგან განთავისუფლებას პირდებიან ხალხს, ზოგან ბალშევიკების მემკვიდრეებათ აცხადებენ თავს—ერთი სიტყვით—სად, როგორ მოუხდებათ. მთელი მათი დემაგოგია მიმართულია პირველი ნომრის წინააღმდეგ. მარა, თუ რამდენათ აღწევენ მიზანს, ამის მაგალითია ხობის მიტინგი. მათმა ორატორმა ასე დაიწყო: ახლა დამფ. კრებაა. ყველას ხმები უნდა და აი მოვლენ თქვენთან პარტიები. პირველათ, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატია, და დაიწყებს თავის ქებას. მათი ნომერია პირველი. როგორც კი ახსენა პირველი ნომერი მიტინგმა დაიგრიალა გაუმარჯოს პირველ ნომერსო. ორატორი შეკრთა, დაიბნა და აღარ იცოდა საიდგან დაეწყო.

ზუგდიდის შემდეგ მოვიარეთ სენაკის მაზრა, სამტრედიის რაიონი და გურიის ზოგიერთი ადგილები. ყველგან დიდი ინტერესია დამფუძნებელი კრებისადმი, ყველგან პირველ რიგშია მიწის კანონი. მოსწონთ კანონი, მარა ცხოვრებაში გატარებაზე—კიდევ ეჭვი ეპარებათ და თუ მიწათმოქმედების სამინისტრომ შესძლო ახლო დროში მისი ცხოვრებაში გატარება, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენი გლეხობა ერთგული დარაჯი იქნება რესპუბლიკის და მის დაცვა განმტკიცებაში მხურვალე და აქტიურ მონაწილეობასაც მიიღებს.

გ ა ნ ი.

## უკანასკნელი ცნობები

### ინგლისის მისიის ცნობა.

ბოლშევიკები ჩრდილოეთისკენ უკან იხევან განაგრძობენ. მათ სდევნის მოხალისეთა ცხენოსანი ჯარი. მოხალისეთა ჯარის მიერ ყიზლიარის დაჭერის შემდეგ, ბოლშევიკებმა 9 თებერვალს დასცალეს ბაკილი და ალექსანდროვსკოე.

## მოხალისეთა ჯარის ვერაგული თავდასხმის გამო

**თელავი** (რეზოლიუცია თელავის მუშათა დეპუტატების საბჭოსი, მიღებული 12 თებერვალს, 1919 წ.

„მოისმინა რა ამხ. პ. საყვარელიძის მოხსენება ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზე, თელავის მუშათა დეპუტატების საბჭო სავსებით იწონებს მთავრობის პოლიტიკას იმ საფრთხის წინაშე, რომელიც აღიმართა ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ ახალციხე ახალქალაქისკენ და შავი ზღვის პირად—სოჭის ოლქში. დენიკინის ჯარის გამოლაშქრება, ესაა რეაქციისა და კონტრ-რევოლიუციის გამოლაშქრება ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ. თელავის მუშათა დეპუტატთა საბჭო მთელი თავის ენერგიით დაიცავს საქართველოს ხელშეუხებლობას და მის დემოკრატიას და მხურვალედ მოუწოდებს ამხანაგებს მზათ იყვნენ, რომ პირველი საჭიროებისთანავე გმირულად ეკვეთონ შემოსეულ მტერს და თავის სისხლით დაიცვან სამშობლოს და დემოკრატიის თავისუფლება“.

—

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები; ველისციხის მომხმარებელ საზოგადოების წევრნი თავის წლიურ კრებაზე გაეცნენ რა დენიკინის ვერაგულად საქართველოზე თავდასხმას, აცხადებენ ენერგიულ პროტესტს მტრისადმი და სდებენ საზოგადოების შოგებიდან, ნიშნად მთავრობისადმი თანაგრძნობისა 10,000 მან. ომში დაჭრილ-დაავადმყოფებულ ჯარისკაცთა და გვარდიელთა სასარგებლოდ. კრების თავმჯდომარე ისაკოვი.

—

**ოზურგეთი** 17 თებერვალი. 14 თებერვალს სოციალ-დემოკრატიულ გურიის კომიტეტის პრეზიდიუმის ინიციატივით მოხდა გურიაში მომქმედ ყველა პოლიტიკური პარტიების ინტერ-პარტიული კრება, რომელზედაც განიხილეს დენიკის გამოლაშქრებისა და ახალციხის ბანდების გამოსვლებით შექმნილი მდგომარეობა, კრებამ ერთხმად აღიარა: 1) დღევანდელ მომენტში ერთ რევოლიუციონურ ძლიერ ფრონტის შესაქმნელათ გაერთიანების აუცილებლობა, 2) მთავრობამ გადაჭრილი ზომები უნდა მიიღოს გარეშე ძალის პოლიტიკის გარკვევაში და 3) მობილიზაცია სწრაფათ უნდა ჩატარდეს. კრებამ გაგზავნა შესაფერი მისალმება მთავრობისადმი და გამოსცა საერთო მოწოდება ხალხისადმი. შესდგა სამაზრო და სასოფლო კომისიები ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან, რომლებმაც უნდა აღმოუჩინონ ზნეობრივი და ფიზიკური დახმარება ადგილობრივ მთავრობას მობილიზაციის საჩქაროდ ჩატარებაში.

—

**ფოთი.** თებერვლის 16. გუშინ ნოვოროსიისკიდან მოვიდა გემი „კონსტანტინე“, რომელზედაც აღმოჩნდა ორმოცამდე მოხალისეთა ჯარისკაცი და აფიცრები. მათ შორის ერთი გენერალია. როგორც გამოირკვა, გემი სოჩაში უნდა შესულიყო, სადაც მიჰქონდა სურსათი: პური, ფქვილი და სხვა. ზღვაზე ცუდი ამინდის გამო, გემმა ბათუმის ნავთსადგურში განიზრახა თავის შეფარება. მიუხედავათ ამისა, კაპიტანმა გემი ფოთის ნავთსადგურში შემოიყვანა, სადაც იგი მაშინვე დატყვევებულ იქნა. მოხალისეებს იარაღი აჰყარეს, ხოლო პურის ფქვილს და სხვა სანოვაგეს კონფისკაცია უქნეს.

## დამფუძნებელი კრების გარშემო

### არჩევნების შედეგი.

**თფილისი.** როცა ჩვენ წამოვიღეთ ცნობები ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან, ხმების დათვლა კიდევ არ იყო დამთავრებული. არ იყო მოტანილი ცნობა ორი საარჩევნო უბნიდან. დათვლილი იყო: საქართ. სოც.-დემ. პარტიამ მიიღო—26,230 ხმა; ნაც.-დემ.—3526; ესერებმა—124; დაშნაკცუტიუნმა—740; სოც. ფედ — 3373; რად.-დემ.—142; საქარ. ეროვნულ პარტიამ—353; მაშვრალებმა—370; რუსთაველის ჯგუფ პარტიამ—54; უპარტიოებმა—361; რუსეთის სოც. დემ.—351; კეთილშობილ ესტეტიკოსთა პარტიამ—15; ელინებმა—11; ბორჩალოს მაზრის მუსულმანების სიამ—10 ხმა.

**ქუთაისი.** არჩევნების შედეგი ასეთია: № 1 მიიღო 7494; მე-2 2971; მე-3 151; მე 4 73; მე-5 1219; მე 7 4; მე 8 137; მე-6 229; მე 11 21; მე 13 5; მე 14 11. 25,000 ამომრჩევლთაგან მონაწილეობა მიიღო 12,315 ამომრჩეველმა.

**ბორი** № 1—2073; № 2 388; № 4—108; № 5—519; № 7—1; № 8—53; № 9—27; № 11—6.

**ყვირილა.** დამფუძნებელ კრების არჩევნებში ყვირილაში მონაწილეობა მიიღო 1657. № 1 მიიღო 1069; მე 2 364; მე-3 32; მე-5 109; მე 8 53.

**ამბროლის საზოგადოებაში** სულ იყო 1576 ამომრჩეველი. ყველამ მიიღო მონაწილეობა. № 1 მიიღო 1117 ხმა, მე 5 34.

—

თფილისში დამფუძნებელ კრების არჩევნებში საღამოს მიღებული დამატებითი ცნობებით სულ მონაწილეობა მიუღია 37,126 ამომრჩეველს. აქედან საქართველოს სოც.-დემ. პარტიამ № 1 მიიღო 27,135 ხმა.

## იუსტიციის სამინისტროში

სამინისტროში მიღებულ ცნობებით, ქუთაისის ოლქის სასამართლოში 1919 წლის იანვრის 1-დან სრული გაეროვნებაა გატარებული. საქმეები ქართულად ირჩევა. აგრეთვე ქართულად სწარმოებს მთელი საქმიანობა კანცელარიებში.

იუსტიციის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ სასამართლოს ყველა დაწესებულებაში შეჩერებულ იქნას, თანახმად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა, წარმოება ყველა საქმეებისა, რაც შეეხება ყოფილ ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობას, როგორც უკანასკნელის მიერ დაწყებული, ისე მის წინააღმდეგ წარმოებული. ხსენებულ საქმეების წარმოება შეჩერებულ უნდა იქნას ყველა ინსტანციებში 1918 წ. მაისის 26 დან, ესე იგი დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

სამსახურს თავი დაანება ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა მათვეევმა. მისს ადგილსს დანიშნულია ქუთაისის გამომძიებელი გ. პ. დადიანი.

გარდაიცვალა სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი და სოხუმისავე საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი დანევსკი.

იუსტიციის მინისტრმა მოხსენება წარუდგინა რესპუბლიკის მთავრობას საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ არსებულ კანონმდებლობის გადასასინჯავად. კომისიამ პირველყოვლისა სასწრაფოდ უნდა გამოარკვიოს მომქმედ კანონმდებლობის არქაიზმები და შეიმუშავოს მათის გაუქმების ან შეცვლის პროექტი. ამავ დროს საძირკველი უნდა ჩაეყაროს ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ საკანონმდებლო კოდექსების შექმნას.

იუსტიციის მინისტრმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნით, რათა რესპუბლიკის ყველა ქალაქის თვითმართველობათ და სამაზრო საერობო გამგეობათ ცირკულიარულად მიეწეროს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნაფიც მსაჯულთა საერთო სიების შედგენას და ეს სიები წარუდგინონ სათანადო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს.

იუსტისციის სამინისტროში შემოვიდა ძეგვის ხიდის აფეთქებელთა გ. შმავაილოვის და მ. კუჩარიანცის ვექილთა თხოვნები დამნაშავეთა შეწყალების შესახებ. თხოვნები გადაეცა რესპუბლიკის მთავრობას. ამჟამად ორივე დამნაშავე ავათაა შავი სახადით.

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას განსახილველად საქართველოს სენატის დაარსების დებულებას საბოლოოდ შემუშავებული კანონპროექტი.

## ახალი ამბები

დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.

✦ **დიდი თოვლის გამო**, როგორც დუშეთიდან იტყობინებიან იქ დამფუძნებელი კრების არჩევნები ამ ჟამად ვერ მოხდება.

✦ **მთავრობაში.** 11 თებერვლის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

გადაეცეს საუწყებათაშორისო კომისიას ლარიბ მოწაფეთა სწავლის ფულის გადასახდელათ 150,000 მან. ათმილიონიან ფონდიდან, რომელი თანხაც ანაზღაურებულ უნდა იქნეს ყოფილ თავ.-აზნ. ქონების შემოსავლიდან.

დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს სტიკი თვალ-ყური ადევნოს მილიციის მოქმედებას, რომ მის მიერ თავის დროზე ბარდებოდეს უწყებები სასამართლოს დაწესებულებებისა.

მოქ ტერ გრიგორიანცს, მის თხოვნისამებრ, გამოეცვალოს გვარი გრიგოლიათ.

თფილისის საგანგებო სასამართლოს ცხინვალის სესიის დროს, როდესაც ირჩევა ოსების საქმეები, უფლება მიეცეს ოსეთის ეროვნულ საბჭოს გამოგზავნოს სესიაში მონაწილეობის მისაღებად ორი თავისი წარმომადგენელი.

ბებუთოვის და მირზოევის გოგირდის აბანოები გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას ორი თვის ვადით ეპიდემიასთან საბრძოლველად.

მიეცეს უფლება გზათა მინისტრს გაიღოს თავის თანხიდან საჭირო ავანსი ფხოველის ნავთის გამოკვლევისათვის აუცილებელ ხარჯების დასაფარავად.

✦ **სვანეთის დელეგაცია** 12 თებერვალს წარუდგა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. დელეგაციის წარმომადგენელმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ თავისუფლების მოყვარულ სვანეთს სურს დარაჯათ დაუდგეს საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებას და სხვებთან ერთად იბრძოლებს საერთო მტრების წინააღმდეგო. საჭიროა სვანეთს პატრონობა გაუწიოს საქართველოს მთავრობამ დ გამოიყენოს ეს ჯანსაღი ხალხი და სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრე ქვეყნის საკეთილდღეოთ.

✦ **მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის** განყოფილებათა გახსნა განზრახულია რესპუბლიკის 21 სხვადასხვა ქალაქ სოფლებში. საგანგებო კომისიამ გამოიმუშავა მუშაობის გეგმა, საშუალებათა ამოსაჩენი გზები; შეიმუშავა პროგრამა და შეუდგა ლექტორთა გამონახვას. 15 თებერვლიდან პროვინციაში იგზავნებიან ყველა ქალაქების ჩამოსავლელათ ლექტორთა მიერ არჩეული ინსტრუქტორები. უნივერსიტეტის მოღვაწეობის დაწყება განზრახულია მარტის პირველი რიცხვებიდან.

✦ **უწყლობა თფილისში.** უკანასკნელი სამი დღე თფილისში წყალს არ იძლეოდა ავჭალის წყალსადენი. ამის მიზეზი იყო მტკვრის გაყინვა იმ ალაგას, სადაც მილია ჩაშვებული მდინარეში. ხალხი წყალს პირდაპირ მტკვრიდან ეზიდებოდა. გუშინ ბევრ ალაგას წყალმა დაიწყო დენა.

✦ **სანოვაგის გაძვირება.** უკანასკნელ დღეებში ბაზარზე სანოვაგის ფასებმა შესამჩნევათ მოიმატა.

✦ **ინდოეთ ევროპის ტელეგრაფი.** ამიერკავკასიაში მყოფ მოკავშირეთა ჯარის მთავარ სარდლის მოადგილე პოლკ. ზელიგმ აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ უკანასკნელ დროს გახშირდა სატელეგრაფო მავთულების დაზიანება. პოლკოვნიკი სთხოვს გარეშე საქმეთა მინისტრს მიღებულ იქნას ზომები მავთულების დასაცავად.

✦ **მკვლელობა.** გუშინ, დილის 8 საათზე ბოროტ-მოქმედმა რევოლვერით მოკლა ავ. მინასიანცი.

— 16 თებერვალს, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, ი. ბუაჩიძემ მოჰკლა თავისი ცოლი.

✦ **ქურდობა.** 16 თებერვალს, ღამით, ჯავახოვის ბინიდან (სიმიონოვის ქუჩა № 1) ბოროტ განზრახველებმა მოიპარეს 60,000 მან. ფული და ძვირფასი ნივთები.

— 16 თებერვალს ღამით, სასტუმრო „კავკაზ“-ში მცხოვრებ ა. სრუჰუნოვს ბოროტმოქმედებმა მოპარეს 35,000 მანეთის ფული და ძვირფასი ნივთები.

✦ **თავდაცვის ფონდი.** რედაქციამ მიიღო თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ პლატონ ანთაძისაგან და ალ. ჯომარჯიძისაგან 710 მან. სადგურ თფილისის წევის ერთი ნაწილის ქვე სექციაში შეგროვილი. უადგილობის გამო სიას ვერ ვბეჭდავთ.

✦ **ლექცია.** ნაძალადევის თეატრში, საშაბათს, 18 თებერვალს საღ. 6 ს. ექ. ნ. ტურიაშვილი წაიკითხავს „ჩასახულის და ახალშობილის (?)“ 

✦ **ს. დ. გამოცემანი.** საქართვ. სოც.-დემ. ცენტრალურ კომიტეტის წიგნის საწყობში იყიდება ბროშურები: „ს.-დ. და მიწის საკითხი“, „ს.-დემ. და საქ. სახელმწ. ორგანიზაცია“, და აგრეთვე „მე-8 ს. დ. ყრილობის უწყება“ ვინც არა ნაკლებ 50 მანეთისა წაიღებს მათ დაეთმობათ 20 პროც. ადრესი: გოლოვინის ქუჩა, № 24.

◆ „შრომის ბირჟის ანგარიში“. იბეჭდება და გამოვა თებერვლის დამლევს: „შრომის ბირჟის ანგარიში“. ანგარიშში მოთავსებულია შრომის ბირჟის მთელი წლის მუშაობის ანგარიშს გარდა ცნობები სხვადასხვა ბირჟების მუშაობაზე. მოთავსებულია აგრეთვე რამოდენიმე სტატია ქართულ და რუსულ ენებზე. საერთოთ შრომის ბირჟებზე, უმუშევართა დაზღვევაზე და სხვა. ანგარიში შეადგინა ქალაქის შრომის ბირჟის გამგემ ნ. გიკომ. ქართული სტატიები დასწერა შრომის ბირჟის პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარემ ჰ. კახიანმა. ანგარიში ეღირება 10 მანეთი. შემოსული ფული მოხმარდება უმუშევართა უფასო საჩაიეს გახსნას.

### პროვინციის ქრონიკა.

**სურამის** ქალაქის კომისარმა ვასილ ილიას ძე ციციშვილმა შეიტანა ქალაქის სალაროში რვაას ორმოცდა ათი მანეთი (850 მ.), რომელიც მისთვის მიეცა ქრთამათ ტუსაღ დიმიტრი ბებიაშვილს, რათა იგი არ გაეგზავნა გორის ციხეში.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

15, 16, 17 თებერვალი.

### გერმანული პრესის ცნობები.

ავსტრო უნგრეთის საელჩოები შტუტგარდტსა და კარლსრუეში თებერვლის გასულს თავის საქმეებს ბერლინის საელჩოს ჩააბარებენ.

ბერნის საერთაშორისო კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა იმსჯელოს რუსეთის მდგომარეობაზე. ამ კომისიაში ავსტრიელების მხრით შევა ფრიდრიხ ადლერი, გერმანელების მხრით—კაუცკი, ფრანგების—ლონგე, ინგლისელების—მაკდონალდი. კომისიაში მრჩევლებათ შევლენ: უნგრელი ბუხინგერი და არგენტინელი ტომაზი. ამას გარდა კომისიაში შევლენ ფინეთის და იტალიის წარმომადგენელნი.

პოზნანსალციში ჯარის სარდლობამ პოლონელებთან ერთად გერმანელების ჯარში გაწვევის ბრძანება გამოუშვა. პოლონელები გერმანულ ოჯახებს ძალით აგზავნინებენ დეპეშებს პოლონეთის საზღვარს იქით მყოფ გერმანელ მამაკაცებთან, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში. ჩამოსულთ შემდეგ ძალით სწერენ ჯარში.

ბრძანება იმის შესახებ, რომ დაეპატიმრებინათ ყველა ის დამოუკიდებელი სოციალისტები, რომლებმაც რუსეთის მთავრობისაგან ფული მიიღეს გერმანიის რევოლიუციის დასახმარებლათ, მთავრობას არ გამოუცია, სამხედრო უწყების მიერ გაუგებრობით გამოცემული ბრძანება ოსკარ კონის დაპატიმრების შესახებ სისრულეში არ მოუყვანიათ. გაჩხრიკეს მხოლოდ მისი სახლი ნორდჰაუზენში.

დამოუკიდებელთა ფული ბანკში არ დაუკავებიათ, გარდა ოსკარ კონის ფულისა, რომელიც დააკავეს იმ მიზნით, რომ აენაზღაურებიათ რუსეთში მყოფ საელჩოებისთვის მიყენებული ზარალი.

გერმანიის მთავარ ბანაკი საბოლოოდ აღმოსავლეთისაკენ გადავიდა. გენ. ჰინდენბურგი კოლბერგში მივიდა და ზომებს მიიღებს აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად.

დასრულდა ამბოხების მომწყობ სპარტაკელთა საქმის გარჩევა. მათ მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება 3 თვიდან 1 წლამდე.

მაგდენბურგში თებერვლის 7 ხელის ყუმბარებით შეიარაღებული 80 მუშა ციხეს დაეცა და დაპატიმრებული სპარტაკელნი გაანთავისუფლეს.

ებერტის პრეზიდენტათ არჩევის გამო გაზეთებს მოჰყავთ ცნობები მისი აღზრდისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ებერტი დაიბადა ჰაიდელბერგში 1871 წლის თებერვლის 4. მისი მამა თერძი იყო. ფრიდრიხ ებერტი ჯერ სახალხო შკოლაში სწავლობდა, შემდეგ მან შეისწავლა მამის ხელობა. ებერტს ადრე გაეღვიძა ინტერესი მუშათა საკითხისადმი და 21 წლისა იყო, როცა 1892 წელს გაემგზავრა ბრემენში, სადაც რედაქტორობდა ს.-დემ. „ბრემენის გაზეთს“. 1894 წლის მაისის 11 ჯვარი დაიწერა ადგილობრივ მცხოვრებ ლუიზა რუმპზე. 1900 წელს ის მუშათა კავშირის მდივნათ იყო. 1915 წელს წევრათ შევიდა სოც. დემოკრატიულ პარტიის გამგეობაში. 1905—6 წ. ებერტი ბრემენის მდაბიო მოქალაქეთა წოდების წევრათ იყო.

რეიხსტაგში არჩეულ იქნა 1912 წ. იანვარში. 1913 წელს აგვისტოში ავგუსტ ბებელის გარდაცვალების შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა. ებერტს ჰყავდა 5 შვილი: 4 ვაჟი და 1 ქალი, რომელიც ახლა 18 წლისაა. 2 შვილი ომში დაეკარგა, 2 გადარჩენილი ვაჟი დაახლოვებით 20 წლისანი არიან. ცოლი 45 წლისაა.

დროებითი ზავის პირობების გაგრძელების შესახებ მოლაპარაკების დროს ტრიერში ერცბერგერმა დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა და სხვათა შორის სთქვა: გერმანიის ხალხი იმ შთაბეჭდილების ქვეშაა, რომ დროებითი ზავის გაგრძელებას ის აზრი აქვს, რომ გერმანიას ახალი მძიმე პირობები დააკისრონ. ამ გვარათ დროებითი ზავი გერმანიის ხალხში იწვევს უნდობლობას, საერთო ზიზღს და უიმედობას.

ამით მოკავშირენი ბოლშევიზმს გზას უკაფავენ, მაშინ, როცა გერმანიის ხალხი ყოველ ღონეს ხმარობს მოიგერიოს ბოლშევიზმი. ამ ჟამად მუშაობს დამფუძნებელი კრება. გერმანიას ჰყავს დემოკრატიული პარლამენტარული მთავრობა. უკანასკნელი გარანტიას იძლევა, რომ აასრულებს ყველა დაკისრებულ მოვალეობას. გერმანიის ხალხმა უკვე გადასცა მოკავშირეთ დიდძალი ქონება და სიმდიდრე. მარტო გემები ღირდა ერთ და ნახევარ მილიარდ მარკაზე მეტი. გერმანიამ გაიღო რკინის გზის თითქმის მთელი ქონება. მარტო პრუსიის რკინის გზამ გადასცა მოკავშირეთ ორ მილიარდ მარკის ღირებული ორთქმავალი და ვაგონები. ბლოკადის გამო გერმანია შიმშილობს და ათასგვარ გაჭირვებას განიცდის.

დამფუძნებელ კრების 13 თებერვლის სხდომაზე ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარეთ დავიდის მაგიერ აირჩიეს რეიხსტაგის ყოფილი თავმჯდომარე, ცენტრის წევრი ფერენბახი. ამავე სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რანტცაუმ, რომელმაც სთქვა, რომ აუცილებელია საერთო განიარაღება, ხალხთა შერიგება, ყველა სადავო საკითხების მშვიდობიანათ გადაჭრა და ხალხთა ლიგის შექმნა. მის შემდეგ ილაპარაკა მეუმრავლესე კეილმა და ნაციონალისტმა პოზადოვსკიმ.

### ფრანგული პრესის ცნობები

ხალხთა ლიგის ვილსონის პროექტის წაკითხვის შემდეგ ორატორებმა თავის სახელმწიფოების სახელით მოიწონეს პროექტი. საფრანგეთის სახელით ლეონ ბურჟუამ განაცხადა, რომ საჭიროა შეიქნას საერთაშორისო ძალა, რათა ყოველ ჟამს მზათ იყოს ჯარი ლიგის რომელიმე წევრ-სახელმწიფოზე თავდასხმის მოსაგერიებლათ.

ვილსონი დღეს დილით ბრესტიდან ამერიკაში გაემგზავრა. მარშალი ფოში და დროებითი ზავის კომისია ჩავიდა ტრიერში, სადაც მათ გერმანელები მოელოდნენ.

საფრანგეთის და შეთანხმების სახელმწიფოთა პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს ბროკდორფ რანტცაუს მიერ ვეიმარში წარმოთქმულ სიტყვის გამო. ნეიტრალური პრესა არა ნაკლებ სასტიკათ ეპყრობა მას და უკმაყოფილოა ამ სიტყვიერ მანიფესტაციით. მაგალ. ბაზელის „ნაციონალ-ცაიტუნგი“ სწერს: საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა რამდენიმე კვირაში გაფანტა ყველა ის იმედები, რომელსაც მის პიროვნებაზე ამყარებდენ. რაც უფრო დაჟინებით მოითხოვს გერმანია ზავის დაჩქარებას და რაც მეტს სცდილობს დაამტკიცოს თავის მდგომარეობის უმწეობა, მით უფრო ნაკლებათ უნდა ემუქრებოდეს თავის მოწინააღმდეგეს, როგორც ეს ჩაიდინა ბროკდორფმა. რასაკვირველია, გერმანიის მთავრობას შეუძლია სცადოს და უარჰყოს ის პირობები, რომელსაც მოკავშირენი მას წარუდგენენ, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ამით ის თავის თავს დაღუპვამდე მიიყვანს“. გაზეთი აღშფოთებულია აგრეთვე იმით, რომ ბროკდორფმა არ მოისურვა ეღიარებია გერმანიის პასუხისმგებლობა ომის დაწყებაში. „განა გერმანიამ არ წარუდგინა რუსეთს ულტიმატუმი? განა გერმანიამ არ დამალა რუსეთის მეფის დეპეშა, რომელიც შეიცავდა წინადადებას, რომ უთანხმოების გადაწყვეტა ჰააგის კონფერენციისთვის გადაეცათ? განა მას არ მოეხსენებოდა ავსტრიის მიერ სერბიისათვის წარდგენილი ულტიმატუმი, რომლის რედაქცია 6-ჯერ შესცვალეს და ბოლოს სრულიად მიუღებელი ტექსტი შეიმუშავეს? განა მან საფრანგეთის ტულონი და ვერდენი არ მოსთხოვა ნეიტრალიტეტის დასაცავად? განა მან არ აახრა რამდენიმე პროვინცია, საიდანაც გაიყვანა მცხოვრებნი, ქალები და ბავშვები? განა ის არ ღუპავდა მშვიდობიან სავაჭრო გემებს? ნუ თუ საჭიროა ბ. სტატს-სეკრეტარს ჩამოუთვალოთ ის ფაქტები, რომელიც მოყვანილია გრელინგის წიგნებში: „მე ბრალს ვდებ“ და „დანაშაული“.—ბაზელის კორესპონდენტის აზრით, ამ სიტყვების შემდეგ, ყველა ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი, რომლებიც ყველაზე უფრო ეწინააღმდეგებოდენ ზავის მძიმე პირობების წამოყენებას, ვერ შეიკავებენ თავს წყრომისაგან. ისინი აგრეთვე ვერ მიაწერენ უბრალო შემთხვევას იმ ფაქტს, რომ რეიხსტაგის ყოფილი თავმჯდომარე ფერენბახი ამ ჟამად გერმანიის ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარეა და შეიდემანი, რომელსაც კერძო კავშირი ქონდა გოგენცოლერებთან, ახლა რესპუბლიკაში მუშაობს. ყველაფერი ისე სწარმოებს, როგორც ბეტმან ჰოლვეგის დროს და შეგვიძლია უთხრათ გერმანიის ხალხს, რომ მას არა აქვს ჩივილის უფლება, რადგან მისი ყოფა ქცევა გაკიცხვის ღირსია. ამიტომ გერმანია არ უნდა კვირობდეს, რომ მას ეპყრობიან ისე, როგორც მოეპყრობოდენ იმპერიალისტურ გერმანიას.

დროებითი ზავის გერმანიის დელეგაცია სწრაფი მატარებლით პარასკევს დილის 9 საათზე ტრიერში გაემგზავრა. კომისიაში შედიან: მინისტრი ერცბერგერი, გენ. გალემდენშტეინი, მინისტრი ფონ გე... (გამოტოვებულია), კაპიტანი ვანზელოვი და რამოდენიმე ექსპერტი. მარშალი ფოში შუადღისას ჩამოვიდა. კამათი გახსნა მარშალმა ფოშმა. მის შემდეგ ილაპარაკა ერცბერგმა. ახალი დამატებითი პირობების თანახმათ გერმანელებს უფლება არა აქვთ პოლონელების წინააღმდეგ აწარმოვონ შეტევა და აღნიშნულ ხაზს ხაზს იქით ჯარი გადაიყვანონ.. (დამახინჯებულია). დროებითი ზავის ვადა გამოურკვეველი არაა. (შემდეგი გაურკვეველია).

### ინგლისური პრესის ცნობები.

შეერთებულმა შტატებმა მიიღეს იაპონიის მთავრობის წინადადება ციმბირში რკინის გზის აღდგენის შესახებ. ციმბირის რკინის გზას, რომელშიც შედის ჩინეთის აღმოსავლეთი რკინის გზა, კონტროლს გაუწევს საერთაშორისო კომისია, რომლის თავმჯდომარე რუსი იქნება.

საერთაშორისო საბჭომ მიიღო პროექტი შეიტანონ ხალხთა ლიგაში განსაკუთრებული განყოფილება, რომელიც განიხილავს სასოფლო მეურნეობის საკითხს. ეს განყოფილება განაგებს შემდეგ საქმეებს: უნდა წარმოადგინოს მოსავლის ანგარიში, შეიმუშავოს პირობები და დააწესოს ქირა სასოფლო სამეურნეო სამუშაოზე და დაიცვას ბუნებრივი სიმდიდრენი.

რადგანაც სახელმწიფო დეპარტამენტმა სხვა მთავრობებთან შეთანხმებით ჩეხო-სლოვაკთა ეროვნული საბჭო დამოუკიდებელ მთავრობათ აღიარა, სამხედრო სავაჭრო პალატებმა ჩეხო-სლოვაკიასთან სავაჭრო ურთიერთობა განაახლეს. ამ ჟამად ვაჭრობისთვის გახსნილია ის ადგილებიც, რომელიც 1914 წელს ბოჰემიისა და ბავარიის პროვინციას შეადგენდა.

# ს.-ფედერალისტების საარჩევნო მოღვაწეობა

(წერილი ქიზიყიდან)

ამ დღეებში გაიმართა სახალხო მიტინგები სოფ. ბოდბისხევში, საქობოში, გიდიკში და ქვემო მაჩხაანში. მიტინგს ბლომათ დაესწრო ხალხი, როგორც აღნიშნულ სოფლებიდან, ისე ახლო-მახლო რაიონებიდან, თუმცა გიდიკის და ბოდბისხევის მიტინგები არა ნორმალურ პირობებში გაიმართა: საგანგებოთ არ მოუწვევიათ ხალხი, ისარგებლეს მხოლოდ ბაზრობით.

ქიზიყის მცხოვრებნი ნიჭიერი და მკვირცხლი ხალხია, მაგრამ პოლიტიკურ განვითარების მხრით ძალიან ჩამორჩენილია. ბევრი გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს ედავებიან. ხშირათ გაიგონებთ საყვედურს: თუ თქვენ ჩვენთვის სიკეთე გსურდეთ, ჯერ ერთმანეთში შეთანხმდებით, მაგრამ, ეტყობა, თქვენ საკუთარ საქმეს იკეთებთ და ჩვენი მოტყუება გსურთო. ბევრია უკმაყოფილო მთავრობის: თქვენი კომისრები და მილიციონერები ქრთამებს იღებენ, გვაწუხებენო.

როგორ იქცევიან ამ პოლიტიკურათ ჩამორჩენილ ხალხში ჩვენი ს.-ფედერალისტები, რომლებთან ჩვენი ორგანიზაცია სიღნაღში შეთანხმებულათ გამოვიდა ეროვნის არჩევნებში და თვით ცენტრალურ მთავრობაში ჩვენთან ერთად მუშაობენ? მათი აგიტატორები ეუბნებიან ხალხს: ჩვენი პარტია რომ იყოს მთავრობის სათავეში, მაშინ ადგილი არ ექნებოდა გლეხის ტანჯვა წვალებასო. დღეს კი რა მოგვცა თქვენ რევოლიუციამ, არაფერიო. ასეთია ის ხაზი, რომელსაც ფედერალისტები ატარებენ.

მაგრამ მკითხველმა იქნებ იფიქროს, რომ ასეთ აგიტაციას ეწევიან ფედერალისტთა უპასუხისმგებლო ორატორები. არა. ასეთს აგიტაციას ეწევიან: ბ-ნი ბერძნიშვილი, რომელიც სიღნაღის საერობო გამგეობის წევრია, ბ-ნი ხატიაშვილი, რომელიც დანიშნულია არჩევნების ინსტრუქტორათ და ბევრი სხვა. ინსტრუქტორი ხატიაშვილი მაუზერ გადაკიდებული შეხტება ხოლმე სკამზე და ყვირის: სოც. დემოკრატები ცდილობენ გლეხობის გალატაკებას, მარქსმა თქვენ სქელშუბლიანები გიწოდათ, ხოლო, როცა სოც.-დემოკრატი ლაპარაკობს, ის წამოიჭრება ხოლმე ზეზე, მაუზერს დემონსტრატიულათ ხელს გადაუსვამს და მორთავს ყვირილს: აბა უთხარით, რომ მოლავთ, რა არის პროლეტარიზაცია, კონცენტრაციაო. ამბობენ, ბ-ნი ხატიაშვილი ძველი წყობილების დროს რაღაც საქმეზე იყო დასჯილიო და საზოგადოთ ჩვეულებათ აქვს ნაძალეური მიხვრა მოხვრაო, მაგრამ მაინც გაუგებარია, როცა ის და მისი ამხანაგები ეუბნებიან გიდიკის მიტინგზე შეკრებილ ხალხს: ნიკოლოზის მთავრობამ უფრო მეტი გააკეთა გლეხობისთვის მიწის საკითხში, ვინემ ჩვენმა მთავრობამ და სოციალ-დემოკრატიამო, ან როცა ინსტრუქტორი მაუზერით ადის ხოლმე ტრიბუნაზე. ასეთი მუშაობის ნაყოფია ის, რომ გიდიკში, სადაც ფედერალისტებმა ჩვენს მისვლამდე გული იჯერეს ლაპარაკით, ჩვენს ორატორს რამდენიმე კაცი უყვიროდა: თქვენ დაგვაქციეთ, ქალაქში მუშებმა ქარხნები და ფაბრიკები გაინაწილეს, ჩვენ კი არაფერი გვარგუნესო, თქვენი მილიციონერები გვძარცვავენო და, როცა ჩვენ უთხარით, რომ სოციალდემოკრატიის რა ბრალია, თუ ცხოვრება მოუწყობელია, რომ სიღნაღის მაზრაში მრავალი კომისარი და მილიციონერია ფედერალისტიო, ფედერალისტებმა ყვირილი მორთეს—ტყუილიაო. ამის შესახებ ჩვენ, მეორე დღეს ლაპარაკი გვქონდა მაჩხაანის სარაიონო კომისართან, რომელიც ფედერალისტია და ძალიან გაუკვირდა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

მე არას ვიტყვი ზოგიერთ კურიოზებზე, ქვემო მაჩხაანში ერთი ახალგაზრდა ამტკიცებდა, რომ მარქსმა კაპიტალის მესამე ტომში დასწერა: უნდა შეერთდენ პროლეტარები გლეხების წინააღმდეგო. როცა ვკითხე, რომელ ენაზე წაიკითხე კაპიტალის მესამე ტომი მეთქი, ქართულზეო მიპასუხა და ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ კაპიტალი ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება და იძულებული გავხდი ამ ურწმუნო ახალგაზრდას მოეჯულება თვით ბ. ბერძნიშვილის ავტორიტეტისათვის მიმენდო. მეორე კურიოზს ადგილი ჰქონდა ს. საქობოში. აქ ერთი ახალგაზრდას, რომელიც გაცხარებით ამტკიცებდა, რომ მთავრობამ ყველაფერი მუქთად უნდა მისცეს გლეხობას, ხუმრობით შევნიშნე—შენ ბოლშევიკი უნდა იყვე მეთქი, რაზედაც ასეთი პასუხი მივიღე: მართალია, მაგრამ ბოლშევიკები აღარ არიან და რა ვქნა ფედერალისტებს უნდა გავყვეო. ასეთი კურიოზები არ გამიკვირდება იმას, ვინც გაცნობილია ფედერალისტების მოღვაწეობას დუშეთის მაზრაში და მათი ადგილობრივი კაცების დამოკიდებულებას ბოლშევიკურ ამბოხებასთან მე არ გამიკვირდებოდა, რომ აგიტაციის დროს რაიმე გადაჭარბებას ქონოდა ადგილი, მაგრამ, როცა პარტია, რომელიც ჩვენთან ერთად მუშაობს და ამით პასუხის მგებლობასაც კისრულობს, შეუგნებელ ხალხის წინაშე ცდილობს სახელი გაუტეხოს მთავრობას და პარლამენტს—ამას რა უნდა ეწოდოს, ვერ გამიგია.

სოც. ფედერალისტებს მთელი სიმძიმე აგიტაციის გადააქვთ მიწის საკითხში და შეუგნებელ გლეხობას უნერგავენ იმ აზრს, ვითომ ჩვენს ქვეყანას სხვა არაფერი გასაჭირი არ ადგეს. თითონ მიწის საკითხში ერთ სიტყვასაც არ ეუბნებიან გლეხებს სოციალიზაციის შესახებ. პირიქით: საჯაროთ აცხადებენ, რომ ისინი არც კერძო საკუთრების წინააღმდეგი არიან, არც დაქირავებულ შრომის, მხოლოდ ჩვენსა და სოციალ დემოკრატებს შორის ის განსხვავებაა, ამბობენ, რომ სოციალ დემოკრატებმა 15 და ოცი დესეტინა საუკეთესო მიწები მემამულეებს დაუტოვეს და კიდევ ნებას აძლევენ თავადებს და ფაბრიკანტებს, რომ მიწები შეისყიდონ და თქვენ ხალალოთ გამუშაონ. ამნაირათ აგრარული კანონის მთელი სიმძიმე გადააქვთ სეიმის 7 მარტის კანონის თავისებურ კრიტიკაში. თუმცა ეს კანონი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ფედერალისტებმა ერთხმათ დაადასტურეს და შემდეგაც არაფერი უთქვამთ ამ უკანასკნელ დრომდე.

მეორე ბრალდება, რომელსაც ისინი აყენებენ, ეს არის ფასი: სოციალ-დემოკრატები ფულს გაბლევინებენ მიწაში, უნდა მდიდრების ქისაში ჩაჩხრიალდეს თქვენის ოფლით მონაგარი გროშებიო. და ბოლშევიკურ ინსტინქტების გაღვივებაში ისე შორს მიდიან, რომ ქვემო მაჩხაანის მიტინგზე გლეხებს უთხრეს: ჩვენ მედუქნეებს გადავახდევინებთ ფულებს, ამ ფულებით გუთნებს შევიძენთ და მუქთად დაგირიგებთო.

ასეთ უპასუხისმგებლო აგიტაციას ეწევიან ჩვენი მთავრობის და კანონის წინააღმდეგ ჩვენი „მოკავშირე“ ფედერალისტების პასუხისმგებელი პირები.

ეროვნული დემოკრატები არ ჩანან. მხოლოდ ქვემო მაჩხაანში გამოვიდა მათი მხრით ვინმე ნასიძე და განაცხადა: მთავრობამ დაგვღუპაო, ხუთასი მილიონი ვალი დაგვადოთო. ოთხმა ფედერალისტმა ილაპარაკა ამ მიტინგზე, (ჩვენმა ერთად ერთმა, ორატორმა ნასიძეზე ადრე ილაპარაკა) და არც ერთი იმათგანი არ შეკამათებია ბ. ნასიძეს: რა ხუთასი მილიონია ის, რომელიც ვითომ ხალხს დაადვა ვალად მთავრობამ. ეტყობა, ფედერალისტები კმაყოფილი დარჩენ ეროვნულ დემოკრატის ამ პროვოკატორულ გამოსვლით.

არიან ქიზიყში რადიკალ-დემოკრატებიც, აქ მათ აქვთ ზოგიერთ სოფლებში პირად მეგობრობა—ნაცნობობაზე აგებული ორგანიზაციები. საერთოდ მათი აგიტატორები ჯენტლმენი ხალხია და ფედერალისტებსავით არ ცდილობენ სახელმწიფოს დანგრევას. ისინი გულახდილად ამბობენ: ჩვენ იმიტომ ვებრძვით სოციალდემოკრატებს, რომ ისინი ქალაქის მუშებზე ზრუნავენ, და თუ ქალაქის მუშები თავის მდგომარეობას გაიუმჯობესებენ, ქალაქის ნაწარმოები გაძვირდება და თქვენც დაზარალდებითო. ასეთია გულახდილობა, რომელსაც რადიკალები იჩენენ საერთოდ. რეაქციონურია ეს სულისკვეთება, მაგრამ მოსაწონია თითონ გულახდილობა, რაც ბრძოლას გიადვილებს, ხალხს პოლიტიკურად არ რყვნის.

მაგრამ ერთი მარცხი რადიკალ-დემოკრატებსაც მოსვლიათ: საარჩევნო პლაკატებში, რომელიც ქიზიყში ბლომათ გაუკრავთ, სწერია: არც ერთი კაპეიკი არ უნდა გადაიხადოს გლეხმა მიწის ფასათო. „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“, მართალი უთქვამს ხალხის სიბრძნეს. ქიზიყის სოფლებში ჩვენ არა გვაქვს სოც.-დემ. ორგანიზაციები და რაკი დემაგოგ ფედერალისტებს გარდა ვერავინ შეუჩნევიათ, რადიკალებსაც მოზდებიათ ფედერალისტური სენი, თორემ ბ. დ. ჩიქოვანმა სულ სხვა განაცხადა პარლამენტში ფასის შესახებ.

მიუხედავათ ნაძირალების აგიტაციისა, ქიზიყის გლეხობის დიდი და საღი ნაწილი ჩვენს მხარეზეა, ჩვენ აგრარულ პროგრამას იზიარებს. თეში იქაც კი ირღვევა დიფერენციაცია ხდება. ჩვენი ვალია გავაძლიეროთ იქ პარტიული მუშაობა და ჩვენს ვერაგ მოკავშირე სოც.-ფედერალისტებს შესაფერი ადგილი მივუჩინოთ. მაგრამ, შეიძლება, თფილისელი ფედერალისტები, მათი ხელმძღვანელი ორგანიზაციები არ იზიარებენ აქაურ ფედერალისტების მოღვაწეობას თუ ასეა უნდა თქვან და ისე არ მოიქცენ, როგორც ეს დუშეთის მაზრის ფედერალისტების მოღვაწეობის დაფასების დროს მოხდა: ფედერალისტთა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა მაშინ პირში წყალი ჩაიგუბეს..

გამვლელი.

# ბათუმში

### ქალაქის საბჭოს გარშემო.

ბათუმის ქართველთა საზოგადო კრებამ 9 თებერვალს მოისმინა მოხსენება ბათუმის აწინდელ მდგომარეობის და ქალაქის ახალი საბჭოს შექმნის შესახებ, აღიარა რომ ბათუმის აწინდელი მდგომარეობა გაუსაძლისია, რადგანაც ქართველებს სწამს, რომ ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, რაც, უეჭველია, აღიარებულ იქნება პარიზის საერთაშორისო კონფერენციის მიერ, ყურად იღო არა ერთი გზის განცხადება ინგლისელებისა საქართველოს და მთელს აღმოსავლეთში, რომ ბრიტანეთის წარმომადგენლთ დავალებული აქვთ დაიცვან წესრიგი და მშვიდობიანობა ყველა ადგილებში, სადაც იგი დარღვეულია და დაამყარონ ნორმალური წესი სამოქალაქო ცხოვრებისა და სცნო, რომ ბათუმის ოსმალთა მიერ აღების წინ აქ მოქმედებდა რუსეთის დროებითი მთავრობის კანონები, რომლითაც ერთხელ (1917 წ.) კიდევაც მოხდა არჩევნები ბათუმის ახალი ქალაქის საბჭოში, რომლის შემადგენლობის უმრავლესს ნაწილს დღიდან ქ. ბათუმში საქალაქო დებულების შემოღებისა (1888 წ.) შეადგენდა ქართველობა და ეს უმრავლესობა მომავალ საბჭოში ხელოვნურად განზრახ შემცირებულია, დაადგინა: 1) უკანონოთ აღიარებს რა მომავალ საქალაქო საბჭოს შექმნის სისტემას 2) რაიც ბათუმის ძირითადი და უმრავლესი მოსახლეობის—ქართველთა წარმომადგენლების რიცხვის უმართებულ შემცირებაში გამოიხატა, პროტესტს აცხადებს ასეთი უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ და მწუხარებით აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს ხდება იქ, სადაც კანონისა და სამართლიანობის დარაჯად მოაქვს თავი დიდ ბრიტანეთს. მიუხედავად ყოველივე ამისა ბათუმის ქართველობა საჭიროდ აღიარებს შექმნილ პირობებშიც მონაწილეობა მიიღოს ახალ საბჭოში, რათა ფხიზელ დარაჯად უდგეს ქართველობის და მასთან ერთად ბათუმის ყველა ეროვნების მცხოვრებთა ჭეშმარიტ ინტერესებს. და ამხილოს კვლავინდებურათ ყოველგვარი უმსგავსოება ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ეს“.

# ფოსტა-ტელეგრაფი სოფლად

ჩვენმა პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალითაც საქართველოს ყველა სოფლის საზოგადოებაში უნდა დაარსებულ იქნას ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილებანი. ამისათვის სოფ. საზოგადოებას ევალება უსასყიდლოდ დაამზადოს ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯგები, მიიტანოს ადგილზე და დათხაროს ორმოები; აგრეთვე უსასყიდლოდ დაუთმოს ფოსტა ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ ოთახიანი სახლი და გათბობა განათება და დარაჯი სამი წლის ვადით. ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის მოსაწყობად და ავეჯეულობის შესაძენათ გადაიხადოს ორი ათას ხუთასი მანეთი ერთდროულად, ხოლო ტელეფონის სარგებლობისათვის ხუთასი მანეთი ყოველწლიურად.

ფოსტა ტელეგრაფის ოლქი ცდილობს ცხოვრებაში გაატაროს ეს კანონი და ამ მიზნით მიმართა საქართველოს მაზრის ერობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობებს და კომისრებს თხოვნით, რომ საზოგადოებებს მოელაპარაკნენ და ვინც დათანხმდება ხსენებულ პირობაზე აცნობონ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს.

ამ ჟამად კი ერთ მეტად სამწუხარო გარემოებას აქვს ადგილი: ზოგიერთა საზოგადოებანი თხოულობენ ტელეგრაფ-ტელეფონის მოწყობას, მაგრამ, როდესაც ოლქის წარმომადგენელი მიდის ტელეფონის თუ ტელეგრაფის მოსაწყობად, ზემოხსენებულ პირობის აღმასრულებელს იქ ვეღარავისა ჰხედავს.

ამნაირი მოვლენა მეტად აფერხებს საქმის წარმატებას.

და სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ფოსტა ტელეგრაფის ოლქი, რომ სოფლის საზოგადოებისაგან მოითხოვოს ჯერ ხსენებულ კანონში მოხსენებული პირობის ასრულება, როგორიცაა, მაგ., ფულის გადახდა, შენობის დაქირავება, ბოძების დამზადება და სხ...

და მხოლოდ ამის შემდეგ გაგზავნოს ოლქის ტეხნიკოსი ტელეგრაფის თუ ტელეფონის მოსაწყობად.

შინაური.

P. S. რადგანაც საჭიროა, რომ ეს გარემოება ყველა სოფლის საზოგადოებებმა იცოდნენ, ამიტომ ვსთხოვ ყველა ქართველ გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

## ს.-დემ. პარტიაში

**ნავთლუღი.** 11 თებერვალს შესდგა მე 3 ქვე კოლექტივის კრება ამხანაგ ალ. ახვლედიანის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) პრეზიდიუმის და თავმჯდომარის არჩევა; 2) პარტიული მუშაობა; 3) ქვორუმის აღნუსხვა; 4) ჩვეულებრივი დროის დანიშვნა კრებისა და სხვადასხვა განცხადებები.

1) კითხვის შესახებ პრეზიდიუმი დაამტკიცეს სამი კაცისაგან შემდგარი, თავმჯდომარის მისი ამხანაგის და მდივნისაგან. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ნესტორ იმნაიშვილი, მის ამხანაგათ ვ. პანჯავიძე, და მდივნათ სპ. შუბლაძე; 2) კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: ევალება პრეზიდიუმს ეცადოს იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერი იქნება, რომ ეს მცირე კოლექტივი გადააქციოს სრულ უფლებიან კოლექტივათ; 3) კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: ქვორუმი შესდგება 7 კაცისაგან. კრება ხდება ყოველ კვირაში ერთხელ ორშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე.

მდივანი **სპირიდონ შუბლაძე.**

## მუშათა შორის

**თფილისი.** შრომის სამინისტროსთან მინისტრის ამხანაგის ერაძის თავმჯდომარეობით შესდგა ბორჯომის მამულის მუშათა წარმომადგენლების ვალერიან გაჭრაძის, ალექსანდრე კრავცოვის და მამულების მმართველის გ. ს. ხუნდაძისა შრომის ხელფასის მოწესრიგების შესახებ კრება.

მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ადმინისტრაცია წესიერათ არ ასრულებს პირობას პურის მიწოდების შესახებ, თანახმათ კოლექტიური ხელშეკრულობისა. ამიტომ მოითხოვდენ თვიურათ 150 მანეთის მომატებას სიძვირის გამო. ადმინისტრაცია ამით თავისუფალი იქნება იმ ხელშეკრულობისაგან, რომლის ძალითაც მუშებისათვის უნდა ეძლიათ პური და აგრეთვე აენაზღაურებინათ ის ზარალი, რომელიც მუშებს მოუვიდოდათ, პურის არა წესიერათ, არა სისტემატიურათ მიღების დროს. მამულის გამგემ განაცხადა, რომ მართალია ადმინისტრაცია არა წესიერათ ასრულებდა თავის მოვალეობას, მუშებს პურს ყოველთვის არ ურიგებდენ, რაც უნდა აესრულებინათ თანახმათ ხელშეკრულობისა, მაგრამ მუშების მიერ ნაანგარიშევ ზარალის ანაზღაურებას ადმინისტრაცია სავსებით არ იზიარებს და მისი შესრულება შეუძლებლათ მიაჩნია. ომი და საერთოთ სახელმწიფოში არსებული პირობებისაგან გამოწვეულია ის მდგომარეობა, რომ მუშებს თავის დროზე არ ეძლევათ პური. და ამაში ბრალი ადმინისტრაციას არ მიუძღვის. რაც შეეხება ხელფასის მომატებას, ეს მოთხოვნილება მუშებისა არ შეიძლება შესრულებულ იქნას, რადგანაც ბორჯომის მამულს არავითარი სხვა შემოსავალი არ აქვს, გარდა იმისა, რაც წარმოებისაგან შემოდის და თუ წარმოება არ დაფარავს ხარჯებს, მაშინ საქმე შეჩერდება და მისი ლიკვიდაცია აუცილებელი იქნება.

შრომის მინისტრის ამხანაგმა ერაძემ წინადადებით მიმართა ორივე მხარეს, ახლავე არ იქნეს განხილული და გადაწყვეტილი ყველა სადავო კითხვები, ვინაიდან თათბირის წევრები, ორგანიზაციები და ის პირები, ვინც უნდა მონაწილეობა მიიღონ ამ კითხვის გადაწყვეტაში, იღებენ მონაწილეობას დამფუძნებელ კრების არჩევნებში და ამ პირობებში შეუძლებელია ნორმალურათ სწარმოებ[დ]ეს კომისიის მუშაობა. რაც შეეხება ხელფასის მომატებას, ეს უნდა გადაწყდეს დღესვე, მუშებს უნდა მიემატოთ თითოს 150 მან. სიძვირის გამო და მასთანვე ადმინისტრაცია განთავისუფლებულ უნდა იყოს იმ მოვალეობისაგან, რომ მუშებს მიაწოდოს პური. ხელფასი მუშებს უნდა მოემატოთ პირველ თებერვლიდან და ხვედრი ფული უნდა მიეცეთ ამ თვის ბოლოს. დამფუძნებელ კრების არჩევნებს შემდეგ უნდა შესდგეს კომისია მუშების ადმინისტრაციის და შრომის სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობით. ეს კომისია ადგილობრივათ გამოარკვევს და გაარჩევს ყველა სადავო კითხვებს. მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ეთანხმებიან შრომის მინისტრის ამხანაგის წინადადებას, მაგრამ, რადგანაც მათ არ აქვთ თავიანთ ამომრჩევლებისაგან დავალებული დაეთანხმონ ასეთ წინადადებას, ისინი გაემგზავრებიან ბორჯომში, გადასცემენ მუშებს ზემოხსენებულ წინადადებას და მუშების გადაწყვეტილებას აცნობებენ შრომის სამინისტროს. ხუნდაძეც დაეთანხმა შრომის სამინისტროს წინადადებას იმ პირობით, რომ მის მიერ აღძრული კითხვა უეჭველად გარჩეული და გადაწყვეტილი იქნება. X.

## პროვინცია

**ამშალის საზოგადოება** (თფილ. მაზრა). ეს საზოგადოება შესდგება შემდეგი სოფლებისაგან: 1) ზემო დ ქვემო ავჭალა, 2) ზემო დ ქვემო გლდანი, მამკოდა და მშრალი ხევი. მოსახლეობენ: ქართველნი, სომხები, არიან რუსებიც თითო ოროლა, მეზობლური განწყობილება მათ შორის დამაკმაყოფილებელია. კულტურულად, უნდა ითქვას, ეს საზოგადოება მიუხედავად იმისა, რომ ის ქალაქზე დაშორებულია სულ 10—15 ვერსით, ძლიერ ჩამორჩენილია. არის სასოფლო სასწავლებლები, მაგრამ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რასაც ჩვენმა ერობამ ანგარიში უნდა გაუწიოს. სამკითხველო აქვთ, უცხო ხილია ქურნალ გაზეთობა. ერთ ორ მოწინავეს თუ მოდის, ისიც თავის დროზე არაა. მოზრდილთათვის არავითარი კითხვები არ არსებობს (მაგ. საღამოს და კვირას კურსები და ლექციები). რაც შეეხება ბუნებით, აქაური მცხოვრებნი საქმის მოყვარულნი და დარბაისელნი არიან, მხოლოდ განათლებას მოკლებულნი. ჩვენ მთავრობას ყველაფერში მხარს უჭერენ, მხოლოდ ზოგიერთ ადმინისტრაციის სახელით მოქმედთ ვერ შერიგებიან. ამ საზოგადოებას სახელმწიფო და სასოფლო ტყე არტყამს, და როცა შეშისათვის ნებართვას იღებენ, რამდენიმე კაცი ერთად დგება ერთ ნებართვაში და როცა ერთს შეშა გამოაქვს თავის ნაწილი, ნებართვას მეორეს უტოვებს, რომ იმანაც ისარგებლოს იმავე ნებართვით. ასე რომ, თუ ქალაქში შამოიდო გასაყიდათ, თან ნებართვა არ მოაქვს, ამ მიზეზით ყოფილა შემთხვევა ქალაქში მილიციის ან კომისრის სახელით მათთვის შეშა წაურთმევიათ, რაც დიდ აღშფოთებას იწვევს აქაურ მუშამოქალაქეებში; მეორე ის, რომ სასოფლოდ ძველად ნაყიდ ტყეში პატრონთ აღარ უშვებენ. მოითხოვენ დამაკმაყოფილებელ პასუხს, რისთვისაც მათ უკვე მიუმართავთ სადაც ჯერარს. დამფუძნებელ კრების არჩევას ეს საზოგადოება დიდის პატივისცემით ეკიდება და მხურვალე მონაწილეობასაც ღებულობს. მოწვეული იყო საზოგადო ყრილობები 9 თებერვლიდან: ზემო და ქვემო ავჭალის 10—12-ში და ზემო გლდანში 11 თებერვალს, სადაც მომხსენებლად გამოდიოდა ს. ს. დ. მ. პარტიიდან მუშა დ. ი. ლორთქიფანიძე. ყველა ყრილობაზე ხალხი მომხსენებელს დიდის გულმოდგინებით უსმენდა, როგორც საქ. დამფუძნებელ კრების მნიშვნელობაზე, აგრეთვე სხვადასხვა კონტრ-რევოლიუციონერთა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოლაშქრებაზე. მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად დებულობდნენ შემდეგ დადგენილებებს: 1) საქართველოს დამფუძნებელი კრება არის ჩვენს მაწა წყალზე მცხოვრებთა ხალხების სრული იმედი და საფუძველი რევოლიუციურ მონაპოვართა განსამტკიცებლად, რომ მან უნდა გამოჰედოს სრულიად ჩვენი ბედი,—ვიღებთ რა საქ. მრავალ ერიანობას, რომლებიც იქნებიან სრული მოქალაქენი თანასწორი უფლებით ჩვენს რესპუბლიკაში, რომ ერთა შორის მშვიდობიანობას და სიყვარულს ჰქმნის მხოლოდ ს. დ. მ. პარტია, რომლის გონივრულმა მართველობამ გადაარჩინა ჩვენი ხალხი შერცხვენას და ბოხრებას, მხოლოდ ს. დ. მ. პარტიას ვხედავდით ყოველ ჩვენს გაჭირვებაში. მისთვისაც დამფუძნებელ კრების არჩევნებშიც ხმას ვაძლევთ ს. ს. დ. მ. პარტიის სიას № 1 ს. 2) შავი ზღვის პირიდან მოხალისეთა და ახალციხის მხრიდან კონტრ-რევოლიუციურ გამოლაშქრებას ყრილობები სთვლიან ჩვენი ხალხის გამანადგურებლად, რისთვისაც მზად არიან ჩვენი მთავრობის პირველ დაძახებაზე გამოვიდენ იარაღით ხელში.

**დ. ლორთქიფანიძე.**

**ხინაპი.** საქონლის ჭირი ძლიერ გავრცელებულია მაზრაში. გამგეობამ ქუთაისის სამაზრო ერობის შრატის დამზადებელ სადგურში შრატის გამოსახსნელად გააგზავნა ოცამდის ხარი. მიღებული აქვს ზომები, კიდევ გაიგზავნოს სოფლებიდან ხარები. თავის განკარგულებაში ყავს ერთი ბეითალი ექიმი ორი ფერშლით. 8 თებერვალს საექიმო განყოფილებამ ჩაიბარა სენაკის სამაზრო საბეითლო განყოფილება და ამის შემდეგ მას საშუალება ეძლევა უახლოესი ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ დაწესებულებას.

იანვრიდან ჯერ ქალაქებში, შემდეგ კი სოფლებში გავრცელდა პარტახტიანი ტიფის ეპიდემია, რომელმაც ამ ჟამად ფართე ხასიათი მიიღო. გამგეობა სენის წინააღმდეგ ღებულობს სათანადო ზომებს: აგზავნის ექიმებს და ფერშლებს იმ ადგილებში, სადაც სენი თავს იჩენს, საჭირო მედიკამენტებით. აქვს თავის განკარგულებაში ერთი სადეზინფექციო აპარატი „გელიოსი“.

გამგეობამ მცხოვრებთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად ჯერ ჯერობით მოიწვია: 6 ექიმი და 10 ფერშალი, გახსნა ერთი 20 საწოლიანი საავადმყოფო ქ. სენაკში. ამ დღეებში გაიხსნება ზანძაში 12, ნოქალაქევში 8 საწოლიანი საავადმყოფო. ძველსენაკსა და სალხინოსთვის 6 საწოლიანი სამკურნალო ქსენონების მოსაწყობათ საჭირო მასალებიც მზათ აქვს, ზემო აღნიშნულს ემატება კიდევ, წინეთ არსებული, აბაშასა და ნაოლალევში ქსენონები.

საერობო გამგეობა უკვე შეუდგა მაზრის ადმინისტრაციის და მილიციის მიღება-ჩაბარებას. X.

## წერილი რედაქციის მიმართ

რკინის გზის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი ულრმეს მადლობას უძღვნის ჩვენი რაზმის მოკლულ დაჭრილების ოჯახების სასარგებლოთ შემოწირულებისათვის: დიომიდე ჯაიას და ლალიაშვილს, რომლების თაოსნობით იქნა შეგროვილი რკინის გზის საავათმყოფოს მოსამსახურეთა შორის—სამას თორმეტი მანეთი და 90 კ. (312 მ. 90 კ.), მოძრაობის რევიზორს სალივან სამსონიას—ასი მანეთი, მოძრაობის რევიზორს სამსონ კოხრეიძეს—ორას ორმოცდა ათი მანეთი და ლატარიის ბილეთები №№ 249 და 250; ნადია ბაქრაძეს—ოცი მან., თფილისის სადგურის მილიციონერს ბაჩუა გეწაძეს—ათი მანეთი და აგრეთვე საქართველოს რკინისგზის ლიტოგრაფიის მუშებს, რომლებმაც დახმარება აღმოგვიჩინა სალიტერატურო დილის მოწყობაში და დაგვიბეჭდეს სხვადასხვა ბროშიურები და აფიშები.

თავმჯდომარის ამხანაგი **კვანტალიანი.**

## ცნობები

ჯარისკაცი გრიგოლ პავლეს ძე წვერავა მსახურობდა 1 ქართველთა მსროლელ პოლკში, მე-8 როტაში. მცხეთაში ბოლშევიკებთან შეტაკების შემდეგ მისი არა ვიცით რა. თუ კი ვინმემ იცით რაიმე გთხოვთ გვაცნობოთ ქუთაისში პავლე რუსიას.

# განცხადებანი

**ბ. მინა კოკალეიშვილს**

თქვენზედ არის გაზეთების 1100 მ. რამდენ ჯერ არ გთხოვეთ გამოგვეგზავნათ, მაგრამ თავს არ იწუხებთ. თუ ათ დღეში არ გამოგვზავნით იძულებული ვიქნებით სხვა გზას მივმართოთ ფულის ასაღებათ.

კანტორა „განათლების“ გამგე **თ. თავართქილაძე.**

---

ექიმი

## კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

---

ექიმი

## ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყაზბეგის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

---

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

---

კბილის საექიმო კაბინეტები
თფილისის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბაზრის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

ვაჟთა და ქალთა საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დოლხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

---

ექიმი ქალი

## ვაინი

იღებს სპეციალურად საშვილოსნო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

---

ექიმი

## ი. გ. კონიევი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

---

## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინარიის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლოს).

---

ექიმი ქალი

## ე. ს. ქარუკეს — გეგურიშვილი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საშვებით დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

---

ექიმი ქალი

## რ. გ. შიუკლო-სავაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიული კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საშვებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

---

ექიმი

## ანასტასია ლვოვიჩი-ორლოვსკაია

მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციებ-ბის) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7.

ქვრივის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—11)

---

ექიმი

## ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

---

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

## მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარების და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 ზუბალის ბიბლიოთეკის ახლოს.

---

ექიმი ს. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალები საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღის ქ. № 33.

---

ექიმი ლ. ა. [illegible]

[illegible] შინაგანის, გულის, [illegible] და [illegible] სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 საათამდე, საღამოს 5—6 ს. [illegible] № 7. [illegible] ტელეფონი 16—65.

---

# სახელმწიფო თეატრი

ოპერის დასი ველაძიშვილის ხელმძღვანელობით.

სამშაბათს, 18 თებერვალს ე. სპიტკოს ბენეფისი. საბანეევას, ზელიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით

## მინიონი

ოთხშაბათს, 19 თებერვალს ორკესტრის ბენეფისი. ევგენი ონეგინი. 21 თებერვალს ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

---

# თფილისის მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს მსურველთ საბეითლო ექიმის თანამდებობაზე. პირობების მეტყოფა და განცხადების შემოტანა—თფილისის მაზრის ერობაში, შოთა რუსთაველის ქუჩა, № 6 (გოლოვინის პრ.)

გამგეობა. (2—1)

---

# განცხადება

სამხედრო მინისტრმა მიბრძანა მე, ოფიცერთა რაზმის ყოფილ უფროსს კაპიტან უთნელაშვილს, სამშობლოს დაცვისათვის ახალციხის ფრონტზე გასაგზავნათ ხელმეორეთ შევადგინო ოფიცერთა რაზმი შემდეგი პირობებით: თითოეულ ოფიცერს მიეცემა ერთდროული დახმარების სახით ათასი მანეთი, უნცროსი ოფიცრის ჯამაგირი, ტანსაცმელი და ჯარის კაცის ულუფა. იმ ოფიცრებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით და მოვალეობის შეგნებით არიან გამსჭვალულნი, ვსთხოვთ ჩაეწერონ დასახელებულ რაზმში სამხედრო სასწავლებლის კანცელარიაში (მიხეილის ქუჩა). იქვე მიიღებიან არა-გასაწვევი ხნოვანობის ბრძოლისთვის გაწაფული მოხალისენიც, სახალხო გვარდიელთა უფლებებით.

(2—2) ოფიცერთა რაზმის უფროსი კაპიტანი **უთნელაშვილი.**

---

# განცხადება

თანახმად ვანის (ქუთაისის მაზრა) საზოგადოების დადგენილებისა მიმდ. წლის 21 თებერვალს საჯარო ვაჭრობით

## იჯარით გაიცემა

ამავე საზოგადოების **აფთიაქი.** ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათ. თვით აფთიაქის შენობაში. მსურველს შეუძლია გაეცნოს აფთიაქის მდგომარეობას და მისი გაცემის პირობებს კომისიის წევრთან. მისამართი: ს. ვანი (ქუთაისის მაზრა) ფოსტა ტელეგ. განყოფილება, ვასილი ახვლედიანი. (3—2)

---

# გვარდიის მთავარი შტაბის

საექიმო-სასანიტარო განყოფილება იწვევს ფრონტზე გასაგზავნათ

## ექიმებს, ექიმის თანაშემწეთ და მოწყალების დებს

და **სანიტრებს.** ჩაწერა შეიძლება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში სასახლეში. (3—3)

---

# სასოფლო მეურნეობის კურსები

მიწათ მოქმედების სამინისტრო ხსნის ამ მიმდინარე თებერვლის 17-ს სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს ორივე სქესის პირთათვის სამი განყოფილებით: მერძევეობის მოყვანის, საქონლის მოშენების (რძეული-ზოოტექნიკა) და მებაღეობის (ძვირფასი მცენარეებით).

თხოვნას იღებენ მიწათ მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, 22 შესავალი ეზოდან, მესამე სართული), პირველი საათიდან სამ საათამდე.

თხოვნაზე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (10—10)